



ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. პროფესიის დასახელება (ქართულად):

ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტი

2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად):

Footwear quality control inspector

3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:

4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 7536

5. დასაქმების სფეროს ღწერა:

ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტის ფუნქციაა ფეხსაცმლის წარმოებაში გამოყენებული მრავალფეროვანი მასალის ხარისხის კონტროლი, ფეხსაცმლის წარმოების მრავალრიცხოვანი ტექნოლოგიური ოპერაციის შესრულებისა და მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლი, პროცესების შესრულების ნაკლოვანებების გამოვლენა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა, მრავალჯერ განმეორებადი წუნის გამომწვევი მიზეზების ანალიზი და პრევენციის ღონისძიებების უზრუნველყოფა.

6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიეებში დარგის სპეციალისტად, საბაჟოსა და დარგობრივ საექსპერტო დაწესებულებებში. ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტი მუშაობს დახურული შენობა, რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალური ინფრასტრუქტურითა და კარგი ვენტილაციით.

7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

კანონმდებლობით არ არის დადგენილი

8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

| № | პროფესიული მოვალეობა | პროფესიული ამოცანა |
|----|---|--|
| 1. | საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა | 1.1. აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას/დახმარების გაწევას; 1.2. იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარულ/ჰიგიენურ ნორმებს; 1.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს; 1.4. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს; 1.5. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; 1.6. იცავს სამუშაო ადგილის მოწყობის ერგონომიკურ ნორმებს. |

| | | |
|----|---|--|
| 2. | სამუშაოს ორგანიზება | <p>2.1. ადგენს სამუშაო გრაფიკს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p>2.2. ამზადებს ხარისხის მართვის სპეციალისტის სამუშაო ადგილს;</p> <p>2.3. ამზადებს შუალედური და საბოლოო საექსპერტო დასკვნის ოქმების ფორმებს;</p> <p>2.4. ახორციელებს მოსამზადებელ ოპერაციებს საწყობში განთავსებული მასალების კონტროლისა და ექსპერტიზისათვის;</p> <p>2.5. ახორციელებს კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური პროცესების გეგმიურ შემოწმებას;</p> <p>2.6. აფიქსირებს წუნს;</p> <p>2.7. იღებს გადაწყვეტილებას წუნდებული პროდუქციის კორექტირების ან წარმოებიდან მოხსნის შესახებ.</p> |
| 3. | ძირითადი და დამხმარე მასალების ხარისხის კონტროლი | <p>3.1. ამოწმებს საწარმოში შემოსული მასალების შეფუთვის მთლიანობას;</p> <p>3.2. ასრულებს ძირითადი მასალების ხარისხის ექსპერტიზას შერჩევის მეთოდით;</p> <p>3.3. ასრულებს დამხმარე მასალების ხარისხის ექსპერტიზას;</p> <p>3.4. ასრულებს ფურნიტურის შემოწმებას;</p> <p>3.5. ამოწმებს კალაპოტების შესაბამისობას სტანდარტთან.</p> |
| 4. | ფეხსაცმლის კონსტრუქციის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება | <p>4.1. ეცნობა ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნებს;</p> <p>4.2. ზომავს ინდივიდუალური ადამიანის ფეხის ტერფის ძირითად ანთროპომეტრიულ ზომებს;</p> <p>4.3. ამოწმებს ზედაპირის დეტალების აგების სიზუსტეს;</p> <p>4.4. ამოწმებს საძირე დეტალების აგების სიზუსტეს;</p> <p>4.5. ამოწმებს საბაზისო კონსტრუქციის განდეტალების სიზუსტეს;</p> <p>4.6. ამოწმებს დეტალების სერიულ გრადაციის სიზუსტეს.</p> |
| 5. | საზედაპირე და საძირე მასალების გამოჭრა-გამოკვეთის პროცესის კონტროლი | <p>5.1. ამოწმებს მასალების შესაბამისობას ესკიზითან;</p> |

| | | |
|----|--|---|
| | | <p>5.2. ამოწმებს გამოსაჭრელ მასალაზე თარგთა განლაგების სისტემებს;</p> <p>5.3. ამოწმებს გამოსაკვეთ მასალაზე თარგთა განლაგების სისტემებს;</p> <p>5.4. ამოწმებს მასალათა გამოყენების ნორმებს;</p> <p>5.5. ამოწმებს გამოჭრილი დეტალების კომპლექტაციის სიზუსტეს;</p> |
| 6. | <p>ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების კონტროლი</p> | <p>6.1. ასრულებს ნამზადის აკრებისათვის მოსამზადებელი ოპერაციების შესრულების ხარისხის კონტროლს;</p> <p>6.2. ასრულებს ნამზადის აკრების ტექნოლოგიური ოპერაციების ნორმატივების კონტროლს;</p> <p>6.3. ასრულებს ნამზადის აკრების დამასრულებელი ოპერაციების შესრულების და ნამზადის ხარისხის კონტროლს;</p> <p>6.4. ასრულებს ნამზადის კალაპოტზე ფორმირების ოპერაციის შესრულების ხარისხის კონტროლს;</p> <p>6.5. ასრულებს ფეხსაცმლის ზედაპირზე ძირის მიმაგრებისათვის მოსამზადებელი ოპერაციების შესრულების ხარისხის კონტროლს;</p> <p>6.6. ასრულებს ზედაპირის ძირთან დაკავშირების ოპერაციების შესრულების ხარისხის კონტროლს;</p> <p>6.7. ასრულებს ფეხსაცმლის გამოყვანის და მარკირების ოპერაციების შესრულების ხარისხის კონტროლს.</p> |
| 7. | <p>მზა პროდუქციის კონტროლი</p> | <p>7.1. ამოწმებს ფეხსაცმელს ვიზუალურად;</p> <p>7.2. ახდენს მზა ფეხსაცმლის ექსპერტიზას შერჩევის მეთოდით;</p> <p>7.3. ამზადებს დასკვნას ფეხსაცმლის ვარგისიანობის შესახებ;</p> <p>7.4. ასრულებს ფეხსაცმლის შეფუთვის პროცესის შესრულების ხარისხის კონტროლს.</p> |

| | | |
|----|-------------------------------------|--|
| 8. | პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა | 8.1. ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლებას მოვალეობებს; 8.2. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს; 8.3. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას; 8.4. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს (პროფესიული ლიტერატურის ანალიზი, ინტერნეტ რესურსები, პროფესიული გაერთიანებების აქტივობებს და სხვ.); 8.5. ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (კონფერენციები და სემინარები, ტრენინგ-კურსები და სხვ.). |
|----|-------------------------------------|--|

9. პიროვნული თვისებები:

- პასუხისმგებლობიანობა
- ორგანიზებულობა
- შრომისმოყვარეობა
- მიზანდასახულობა

10. მატერიალური რესურსი:

ა) ინვენტარი, აღჭურვილობა:

- ზედაპირისა და სარჩულის კიდეების ჩამთლევი;
- ზედაპირის კიდეების დამკეცი;
- დანოტივების კამერა;
- საშრობი კარადა;
- ინდივიდუალური გამწოვი;
- აქტივატორი;
- ზედაპირის დეტალების შემწებებელი წნეხი (მექანიკური);
- ლანჩის მიმწებებელი წნეხი;
- ლანჩის კიდის გამხეხი (ფრეზერი);
- ფეხსაცმლისა და ჩექმის ყელის გასაუთოებელი;
- ნაკერის გამაგლუვებელი;
- ფეხსაცმლიდან კალაპოტის ამოსაღები;
- დინამომეტრი;
- სისქისმზომი;
- ანალიზური სასწორი;
- მიკროსკოპი;
- ტყავის საკერავი მანქანები: ბრტყელბაქნიანი ერთნემსიანი; მაღალბაქნიანი ერთნემსიანი, ზიგზაგის;
- მასალათა მრავალჯერად ღუნვაზე გამოსაცდელი ხელსაწყო;
- მასალათა ჭმუჭნადობაზე გამოსაცდელი ხელსაწყო;
- მუყაოს მრავალჯერად ღუნვაზე გამოსაცდელი ხელსაწყო;
- სალანჩე რეზინების ღუნვაზე გამოსაცდელი ხელსაწყო;
- მასალათა ჰაერშედლწევადობის გამოსაცდელი ხელსაწყო;

- მასალათა ტენშეღწევადობის გამოსაცდელი ხელსაწყო;
- მასალათა ცვეთამედეგობაზე გამოსაცდელი ხელსაწყო;
- მასალათა სიხისტის გამოსაცდელი ხელსაწყო;
- პლანტოგრაფი (ტერფის ანაბეჭდის ასაღები ხელსაწყო);
- ტერფიზომი (კონტაქტური და უკონტაქტო);
- ტყავის საჭრელი დაფა;
- თარგის მოსანიშნი გორგოლაჭი;
- ზედაპირის გამომჭრელი დანა;
- კიდეების ჩამთლელი დანა;
- სხვადასხვა ზომის დანების კომპლექტი;
- ხელის პერფორატორების კომპლექტი (გეომეტრიული ფორმის მიხედვით);
- მაკრატლები;
- ნაკერების გამგლუვებელი (ხელის);
- მახათი;
- სხვადასხვა ზომის ნემსი;
- სადგისი;
- სხვადასხვა ზომის ფუნჯი;
- სალესი;
- ხელის ელექტრო უთო;
- წებოს ჭურჭელი;
- ფურნიტურის დასამაგრებელი;
- ჩაქუჩი;
- მოსაჭიმი ბრტყელტუჩა;
- გამხეხი ქლიბი;
- ზუმფარის ქაღალდი;
- გასაპრიალებელი ჯაგრისი;
- ტყავის ფენი;
- მილიმეტრული ლენტი;
- სხვადასხვა ფასონის კალაპოტი;
- სანათი;
- ასაჭრელი ფურცელი;
- ფანქარი;
- ფერადი ფლომასტერები;
- მარკერი;
- დაფის მაგნიტი;
- საშლელი;
- სათლელი;
- შტანგერფარგალი;
- ზუსტზომი;
- ფარგალი;
- სახაზავების კომპლექტი;
- ლეკალოების ნაკრები.

ბ) მასალა, ნედლეული:

- სხვადასხვა სახის საზედაპირე ბუნებრივი ტყავი;
- ტყავი;

- სინთეზური/ხელოვნური ტყავი;
- სხვადასხვა სახის საზედაპირე ქსოვილი;
- სხვადასხვა სახის სასარჩულე ქსოვილი;
- ნატურალური და ხელოვნური ბეწვი;
- შუასადები ქსოვილები;
- საძირე ნატურალური ტყავი;
- სხვადასხვა სახის საძირე რეზინა;
- ჩამოსხმული ძირები;
- საღაბაზე მუყაო;
- საღაბაზე ტყავი;
- თერმოელასტოპლასტი;
- საქუსლარის მუყაო;
- სხვადასხვა სახისა და ფორმის ქუსლები;
- ქეჩა;
- სახაზავი ფორმატი;
- წებოვანი ლენტი;
- თარგების მუყაო;
- სხვადასხვა სახის ძაფი (6/8 წვერიანი კაპრონი, ლავსანი, ლავსანი/ზამბა, ანიდი, გასანთლული), რეზინის წებო;
- ტყავის „შპაკლი“ (დაზიანებული ზედაპირის ამოსავსებად-გასაგლუვებლად);
- აკრილის ლატექსი;
- ობრადორი;
- პოლიურეთანის წებო;
- ნაირიტის წებო;
- პოლივინილაცეტატის წებო;
- წებოს გამხსნელი სითხე;
- აცეტონი;
- ტექსი;
- ხრახნიანი ლურსმანი;
- მოსაჭიმი ლურსმანი;
- წებოვანი ლენტი;
- ყაითანი;
- ელვა შესაკრავი (სხვადასხვა ზომის);
- კოსმოსური ელვა;
- რანტი;
- დეკორატიული რანტი;
- ქუსლის გარსაკრი,
- კნოპები;
- ჭოჭონაქი;
- შესაფუთი ქაღალდი;
- ყუთი;
- ფორმის შემანარჩუნებელი მუყაო;
- სანთელი;
- სხვადასხვა ფერის საღებავი;
- კამარა;

- ცეცხლმაქრები;
- ჩაფხუტი;
- ხალათი;
- სამკლავური;
- პირბადე;
- ხელთათმანი;
- პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები.

11.სამომავლო ტენდენციები:

- ტექნიკური სიახლეებისა და კონტროლის თანამედროვე მეთოდების წარმოებაში დანერგვით ფეხსაცმლის ხარისხის გაუმჯობესება.

12.პროფესიული ცოდნა და უნარები:

| № | მოვალეობა | პროფესიული ცოდნა | პროფესიული უნარები |
|----|---|--|--|
| 1. | <p>ადმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას/დახმარების გაწევას</p> | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველადი დახმარებისათვის მედიკამენტების გამოყენების წესები • ჭრილობის პირველადი დამუშავების წესები • მოტეხილობის დროს პირველადი დახმარების წესები • ელექტრო დენით მიყენებული დაზიანების დროს პირველადი დახმარების წესები • პირადი ჰიგიენის ნორმები • სანიტარული ნორმები • პირადი ნივთების მოხმარების წესები • სამუშაო ადგილისა და ხელსაწყო-დანადგარების გასუფთავების წესები • შრომის უსაფრთხოების წესები • ხანძარსაწინააღმდეგო წესები • გარემოს დაცვის წესები • ბუნების მოვლა/გაფრთხილების წესები • ეთიკის დაცვის ნორმები | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველადი დახმარებისათვის მედიკამენტების გამოყენება • ჭრილობის პირველადი დამუშავება • მოტეხილობის დროს პირველადი დახმარება • ელექტროდენით მიყენებული დაზიანების დროს პირველადი დახმარება • პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა • სანიტარული ნორმების დაცვა • პირადი ნივთების მოხმარება • სამუშაო ადგილისა და ხელსაწყო-დანადგარების გასუფთავება • შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა • ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა • გარემოს დაცვა • ბუნების მოვლა/გაფრთხილება • ეთიკის ნორმების დაცვა • პროფესიული ეთიკის წერილობითი კომუნიკაცია • საქმიანი ურთიერთობების დროს მანძილის დაცვა • ერგონომიკის ნორმების დაცვა |

| | | | |
|----|---------------------|---|---|
| | | <ul style="list-style-type: none"> პროფესიული ეთიკის წერილობითი კომუნიკაციის წესები საქმიანი ურთიერთობების დროს მანძილის დაცვის წესი სამუშაო ადგილის ერგონომიკის ნორმები | |
| 2. | სამუშაოს ორგანიზება | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტის გრაფიკის შედგენის მეთოდები ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტის სამუშაოს სწორი დასახვის მეთოდები ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტისთვის სამუშაოს თანმიმდევრულად შესრულების მეთოდები ხარისხის მართვის სპეციალისტის მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყო-მოწყობილობების დანიშნულება და გამოყენების წესი სამუშაო ადგილის მოწყობის წესი საექსპერტო დასკვნის ძირითადი კრიტერიუმების განსაზღვრის მეთოდი ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმების პრიორიტეტების ფორმირების მეთოდი საექსპერტო დასკვნის აქტის შევსების წესი საფეხსაცმელე მასალების კონტრილისა და ექსპერტიზის პროცესის შესრულების წესები კონსტრუირების (პროექტირების) პროცესების | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტის გრაფიკის შედგენა ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტის სამუშაოს სწორი დასახვა ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტისთვის სამუშაოს თანმიმდევრულად შესრულება ხარისხის მართვის სპეციალისტის მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყო-მოწყობილობების დანიშნულება და გამოყენება სამუშაო ადგილის შერჩევა სამუშაო ადგილის მოწყობა საექსპერტო დასკვნის ძირითადი კრიტერიუმების განსაზღვრა ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმების პრიორიტეტების ფორმირება საექსპერტო დასკვნის აქტის შევსება საფეხსაცმელე მასალების კონტრილისა და ექსპერტიზის პროცესის შესრულება კონსტრუირების პროცესის გეგმიური შემოწმება ტექნოლოგიური პროცესების გეგმიური შემოწმება გეგმიური შემოწმების გრაფიკის შედგენა |

| | | | |
|----|--|--|--|
| | | <p>გეგმიური შემოწმების მეთოდები</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური პროცესების გეგმიური შემოწმების მეთოდები • გეგმიური შემოწმების გრაფიკის შედგენის წესი • საფეხსაცმელე ძირითადი და დამხმარე მასალების წუნის სახეები • ფეხსაცმლის და მისი შემადგენელი კვანძების წუნის სახეები • ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების დროს მოსალოდნელი წუნის სახეები • ტექნოლოგიური წუნების წარმოშობის ძირითადი მიზეზები • ტექნოლოგიური პროცესების შესრულების დროს მოსალოდნელი წუნის სახეები • მოსალოდნელი წუნების პრევენციის მეთოდები • წუნების კორექტირების მეთოდები • წუნდებული ნაწარმის წარმოებიდან მოხსნის წესები | <ul style="list-style-type: none"> • საფეხსაცმელე ძირითადი და დამხმარე მასალების წუნის სახეების გამოვლენა • ფეხსაცმლის და მისი შემადგენელი კვანძების წუნის სახეების გამოვლენა • ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების დროს მოსალოდნელი წუნის სახეების დაფიქსირება • ტექნოლოგიური წუნების მიზეზების განსაზღვრა • ტექნოლოგიური პროცესების შესრულების დროს მოსალოდნელი წუნის სახეების შერჩევა • მოსალოდნელი წუნების პრევენცია • წუნების კორექტირება • წუნდებული ნაწარმის წარმოებიდან მოხსნა |
| 3. | ძირითადი და დამხმარე მასალების ხარისხის კონტროლი | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საფეხსაცმელე ძირითადი და დამხმარე მასალების შენახვის წესები • ძირითადი მასალების საკლასიფიკაციო ნიშნები • ბუნებრივი მასალების მახასიათებლები • ხელოვნური და სინთეზური მასალების მახასიათებლები • ქსოვილური მასალების მახასიათებლები • ძირითადი მასალების ხარისხის კონტროლის წესები | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საფეხსაცმელე ძირითადი და დამხმარე მასალების შენახვის პირობების დიფერენცირება • ძირითადი მასალების დახასიათება საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით • ბუნებრივი მასალების მახასიათებლების განსაზღვრა • ხელოვნური და სინთეზური მასალების მახასიათებლების განსაზღვრა • ქსოვილური მასალების მახასიათებლების განსაზღვრა |

| | | | |
|--|--|---|---|
| | | <ul style="list-style-type: none"> • დამხმარე მასალების საკლასიფიკაციო ნიშნები • დამხმარე მასალების მახასიათებლები • დამხმარე მასალების ხარისხის შემოწმების წესები • ფურნიტურის სახეები • ფურნიტურის შერჩევის წესები • ფურნიტურის გამოყენების წესები • საფეხსაცმელე კალაპოტების საკლასიფიკაციო ნიშნები • კალაპოტის სტანდარტთან შესაბამისობის მნიშვნელობა • კალაპოტის ძირითადი კვეთების განსაზღვრის მეთოდი • კალაპოტის სტანდარტული ზომების შემოწმების წესი | <ul style="list-style-type: none"> • დამხმარე მასალების საკლასიფიკაციო ნიშნების განსაზღვრა • დამხმარე მასალების მახასიათებლების განსაზღვრა • დამხმარე მასალების ხარისხის შემოწმება • ფურნიტურის შერჩევა • ფურნიტურის გამოყენება • საფეხსაცმელე კალაპოტების საკლასიფიკაციო ნიშნების განსაზღვრა • კალაპოტის სტანდარტთან შესაბამისობის მნიშვნელობის განსაზღვრა • კალაპოტის ძირითადი კვეთების განსაზღვრა • კალაპოტის სტანდარტული ზომების შემოწმება |
| <p>4. ფეხსაცმლის კონსტრუქციის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება</p> | | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნები სახისა და ფასონის მიხედვით • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნები დანიშნულების მიხედვით • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და ზომითი მახასიათებლების მიხედვით • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნები გამოყენებული ძირითადი მასალების მიხედვით • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნები ძირის მიმაგრების მეთოდების მიხედვით | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნების სახისა და ფასონის მიხედვით შერჩევა • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნების დანიშნულების მიხედვით შერჩევა • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნების სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და ზომითი ნიშნის მიხედვით შერჩევა • ფეხსაცმლის საკლასიფიკაციო ნიშნების ძირის მიმაგრების მეთოდის მიხედვით შერჩევა • ფეხის ტერფის ანთროპომეტრიის მნიშვნელობის განსაზღვრა • ფეხის ტერფის ანთროპომეტრიული ნიშნების გასაზომ |

- ფეხის ანთროპომეტრიის მნიშვნელობა ტერფის
- ფეხის ანთროპომეტრიული ნიშნების ტერფის გასაზომ ხელსაწყო/აპარატურის დანიშნულება
- ფეხის ტერფის კვალის პროექციის აღების მეთოდები
- ფეხის ტერფის გაზომვის მეთოდები
- ფეხსაცმლის დეტალების ტექნიკური მოდელირების მეთოდები
- საბაზისო მოდელის ასაგებად საჭირო ხელსაწყო-იარაღისა და მასალის დანიშნულება
- ტექნიკური მოდელირებისათვის კალაპოტის მომზადების წესები
- ფეხსაცმლის სამირე დეტალების აგების მეთოდები
- კალაპოტის კვალის განაშალის მიღების წესი
- ღაბაშის აგების წესი
- სამირე დეტალების აგების წესები
- საბაზისო ნახაზის განდეტალების წესი
- საბაზისო ნახაზიდან ტექნოლოგიური ნორმატივების მიხედვით თარგის მიღების წესი
- კონსტრუქციის მიხედვით თარგების დაკომპლექტების წესი
- ფეხსაცმლის დეტალების გრადირების მეთოდები
- ფეხსაცმლის ზედაპირის დეტალების გრადირების წესი
- ფეხსაცმლის გრადირების წესი

- ხელსაწყო/აპარატურის გამოყენება
- ფეხის ტერფის კვალის პროექციის აღება
 - შეუძლია ფეხის ტერფის გაზომვა
 - ფეხსაცმლის დეტალების ტექნიკური მოდელირების სიზუსტის შემოწმება
 - საბაზისო მოდელის ასაგებად საჭირო ხელსაწყო-იარაღისა და მასალის გამოყენება
 - ტექნიკური მოდელირებისათვის კალაპოტის მომზადების სიზუსტის შემოწმება
 - ფეხსაცმლის სამირე დეტალების აგების მეთოდების შერჩევის სიზუსტის შემოწმება
 - კალაპოტის კვალის განაშალის მიღების სიზუსტის შემოწმება
 - ღაბაშის აგების სიზუსტის შემოწმება
 - სამირე დეტალების აგების სიზუსტის შემოწმება
 - საბაზისო ნახაზის განდეტალების სიზუსტის შემოწმება
 - საბაზისო ნახაზიდან ტექნოლოგიური ნორმატივების მიხედვით თარგის მიღების სიზუსტის შემოწმება
 - კონსტრუქციის მიხედვით თარგების დაკომპლექტების სიზუსტის შემოწმება
 - ფეხსაცმლის დეტალების გრადირების სიზუსტის შემოწმება
 - ფეხსაცმლის ზედაპირის დეტალების გრადირების სიზუსტის შემოწმება
 - ფეხსაცმლის გრადირების სიზუსტის შემოწმება

| | | | |
|-----------|---|---|--|
| <p>5.</p> | <p>საზედაპირე და საძირე მასალების გამოჭრა-გამოკვეთის პროცესის კონტროლი</p> | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკიზის წაკითხვის მეთოდი • საზედაპირე მასალის შერჩევის წესები • საძირე მასალის შერჩევის წესები • საზედაპირე დეტალების გამოჭრის მეთოდები • საზედაპირე მასალებზე თარგთა განლაგების სისტემები • საზედაპირე მასალების ხარჯვის ნორმირება • საძირე დეტალების გამოკვეთის მეთოდები • საძირე მასალებზე თარგთა განლაგების სისტემები • საძირე მასალების ხარჯვის ნორმირება • ფეხსაცმლის მასალათა ნორმირება • საზედაპირე მასალების შემოწმების წესი • საძირე მასალის შემოწმების წესი • გამოჭრილი საზედაპირე დეტალების ხარისხის შემოწმების წესები • გამოჭრილი დეტალების დაკომპლექტების წესები • გამოკვეთილი საძირე დეტალების ხარისხის შემოწმების წესები • გამოჭრილი დეტალების დაკომპლექტების წესები | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკიზის წაკითხვა • საზედაპირე მასალის შერჩევა • შეუძლია საძირე მასალის შერჩევა. • საზედაპირე დეტალების გამოჭრის სიზუსტის შემოწმება • საზედაპირე მასალებზე თარგთა განლაგების სისტემების შერჩევა • საზედაპირე მასალების ხარჯვის ნორმირების განსაზღვრა. • საძირე დეტალების გამოკვეთის სიზუსტის შემოწმება • საძირე მასალებზე თარგთა განლაგების სისტემების შერჩევა • საძირე მასალების ხარჯვის ნორმირების განსაზღვრა. • საზედაპირე მასალის შემოწმება • საძირე მასალის შემოწმება • გამოჭრილი საზედაპირე დეტალების ხარისხის შემოწმება • გამოჭრილი დეტალების დაკომპლექტების ხარისხის შემოწმება • გამოკვეთილი საძირე დეტალების ხარისხის შემოწმება • გამოჭრილი დეტალების დაკომპლექტების ხარისხის შემოწმება |
| <p>6.</p> | <p>ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების კონტროლი</p> | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფეხსაცმლის ნამზადის აკრებისათვის დეტალების მომზადების მეთოდები • ფეხსაცმლის ნამზადის აკრებისათვის მოსამზადებელი ოპერაციების | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფეხსაცმლის ნამზადის აკრებისათვის დეტალების მომზადების ხარისხის შემოწმება • ფეხსაცმლის ნამზადის აკრებისათვის მოსამზადებელი ოპერაციების ტექნოლოგიური ნორმატივების შემოწმება |

| | | | |
|----|---------------------------------------|--|---|
| | | <ul style="list-style-type: none"> • ნამზადის კალაპოტზე ფორმირების ტექნოლოგიური ოპერაციების შემოწმების წესი. • ფეხსაცმლის ზედაპირზე ძირის მიმაგრებისათვის საჭირო მოსამზადებელი ოპერაციები და მათი ტექნოლოგიური ნორმატივები • ფეხსაცმლის ზედაპირზე ძირის მიმაგრების მეთოდები • ფეხსაცმლის ზედაპირზე ძირის მიმაგრების ოპერაციების ტექნოლოგიური ნორმატივები • ფეხსაცმლის გამოყვანის მეთოდები • მზა ფეხსაცმლის მარკირებისა და ნიშანდების წესები | <p>და მათი ტექნოლოგიური ნორმატივების განსაზღვრა</p> <ul style="list-style-type: none"> • ფეხსაცმლის ზედაპირზე ძირის მიმაგრება • ფეხსაცმლის ზედაპირზე ძირის მიმაგრების ოპერაციების ტექნოლოგიური ნორმატივების განსაზღვრა • ფეხსაცმლის გამოყვანის ოპერაციების ხარისხის შემოწმება • მზა ფეხსაცმლის მარკირების და ნიშანდების სიზუსტის შემოწმება |
| 7. | <p>მზა პროდუქციის კონტროლი</p> | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მზა ფეხსაცმლის კონტროლის მეთოდები • მზა ფეხსაცმლის ვიზუალური შემოწმების წესები • მზა ფეხსაცმლის ექსპერტიზის მეთოდები • საცდელი ნიმუშის შერჩევის წესი • ექსპერტიზის ჩატარების წესი • მზა ფეხსაცმლის შემოწმების მეთოდი ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით • საექსპერტო აქტის შევსების წესი • საექსპერტო დასკვნის დაწერის წესი • მზა ფეხსაცმლის შეფუთვის წესები • მზა პროდუქციის საწყობზე ნაწარმის მიწოდების წესები | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მზა ფეხსაცმლის კონტროლი • მზა ფეხსაცმლის ვიზუალური შემოწმება • მზა ფეხსაცმლის ექსპერტიზის ჩატარება • საცდელი ნიმუშის შერჩევა • მზა ფეხსაცმლის ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით შემოწმება • საექსპერტო აქტის შევსება • საექსპერტო დასკვნის დაწერა • მზა ფეხსაცმლის შეფუთვის ხარისხის შემოწმება • მზა პროდუქციის საწყობზე ნაწარმის მიწოდების პროცესის სიზუსტის შემოწმება; |

| | | | |
|----|---|---|--|
| 8. | <p>პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა</p> | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომის კანონის დაცვის წესები • გუნდური მუშაობის წესები • უცხო ენა კომუნიკაციის დონეზე • მიღებული პროფესიული ცოდნისა და უნარების პრეზენტაციის მეთოდები • მასტერკლასებში მონაწილეობის დაგეგმვის მეთოდები • სემინარებში მონაწილეობის მეთოდები • პროფესიული გადამზადების კურსებზე მონაწილეობის მეთოდები • კომპიუტერული პროგრამების გამოყენების წესები • ინტერნეტის გამოყენების წესები • პროფესიულ გაერთიანებებთან ურთიერთობის წესები • ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მიერ ლექციებზე, კონფერენციებზე, სემინარებსა და ტრენინგ-კურსებზე დასწრების მეთოდები • სახელოსნოებში და საწარმოებში პრაქტიკის გავლის მეთოდები | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომის კანონის დაიცვა • გუნდური მუშაობა • უცხო ენაზე კომუნიკაცია • მიღებული პროფესიული ცოდნისა და უნარების პრეზენტაცია • მასტერკლასებში მონაწილეობის დაგეგმვა • სემინარებში მონაწილეობა • პროფესიული გადამზადების კურსებზე მონაწილეობა • კომპიუტერთან მუშაობა • ინტერნეტის გამოყენება • პროფესიულ გაერთიანებებთან ურთიერთობა • დაესწროს ადგილობრივ და უცხოელი სპეციალისტების ლექციებს, კონფერენციებს, სემინარებსა და ტრენინგ-კურსებს • სხვადასხვა სახელოსნოში და საწარმოში პრაქტიკის გავლა |
|----|---|---|--|

13. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ორგანიზაციის წევრები:

| № | სახელი, გვარი | ორგანიზაცია, პოზიცია |
|----|------------------|---|
| 1. | ნინო წიქარიშვილი | შპს- „ნათ-ია 2009“, დიზაინერ/კონსტრუქტორი |
| 2. | ნინო მჭედლიძე | შპს- „ELIT&G“, დიზაინერ/კონსტრუქტორი |

| | | |
|----|-------------------|--|
| 3. | კარენ მინასიანი | შპს- „სამოსელი პირველი“, კონსტრუქტორ/ტექნოლოგი |
| 4. | დავით ფეიქრიშვილი | ი/მ- „დავითი“, დამფუძნებელი |
| 5. | ანა ქუბიაშვილი | შპს- „ARMANDO SHOES“, დიზაინერ/კონსტრუქტორი |
| 6. | მაია გრძელიძე | სსიპ-“აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, პროფესორი |
| 7. | გიორგი ქარქაშაძე | ი/მ გიორგი ქარქაშაძე დარგის სპეციალისტი |
| 8. | მიხეილ მკრტიანი | შ.პ.ს „სამოსელი პირველი“, მეწაღე |

დასახელება: ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებელისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

ნაწილი 3. შეფასების პროცედურა

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა

გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;

- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითაა გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

მოპოვებული მტკიცებულებები

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

თეორიული საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - ა) სამუშაო ადგილის მოწყობის წესი;
 - ბ) წუნდებული ნაწარმის წარმოებიდან მოხსნის წესები;
 - გ) მზა ფეხსაცმლის ვიზუალური შემოწმების წესები;
 - დ) საექსპერტო დასკვნის დაწერის წესი.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

საგამოცდო გარემო:

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:
რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) ხარისხის მართვის სპეციალისტის სამუშაო ადგილის მომზადება;
- ბ) წუნდებული პროდუქციის კორექტირების ან წარმოებიდან მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- გ) ფეხსაცმლის ვიზუალურად შემოწმება;
- დ) ფეხსაცმლის ვარგისიანობის შესახებ დასკვნის მომზადება.

გაითვალისწინეთ:

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდეგ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

| | |
|------------------------------|----------------|
| დადასტურებული კომპეტენცია | მტკიცებულებები |
|------------------------------|----------------|

| | ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N) | არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N) | გამოცდა (დანართი N) |
|--|--|---|------------------------|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: